კორპორატიული CV

რეკვიზიტები:

დასახელება: შპს ტრანსპორტერი
სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო კოდი: 405127508
რეგისტრაციის თარიღი: 2015 წლის 4 დეკემბერი

ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე
უფლებამოსილი პირი: სერგო შუღაროვი (პ/ნ 01031003635), დირექტორი

საკონტაქტო ინფორმაცია:

იურიდიული მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ო. თაქთაქიშვილის ქ. N12/12ა, ბ. 46
ფაქტობრივი მისამართი - თბილისი, ა. ბელიაშვილის ქ. N70
ელექტრონული ფოსტა: info@transporter.com.ge
ტელ: +995 595 37 11 77, +995 032 2 14 71 71

საქმიანობის სფერო

ძირითადი საქმიანობის სფერო ეროვნული კლასიფიკატორის მიხედვით განსაზღვრულია 45.40.0 კოდით: - მოტოციკლების, მათი ნაწილების და აქსესუარების გაყიდვა, ტექნიკური მომსახურება და რემონტი.

გამოცდილება

კომპანია ტრანსპორტერი დაფუძნდა 2015 წელის დეკემბერში. 2016 წლიდან წარმოადგენს კანადური კომპანია BRP-ის (Bombardier Recreational Products) და ყველა BRP-იში შემავალი ბრენდის (Can-Am, Ski-doo, Sea-doo, Lynx Evinrude და Rotax) ოფიციალურ დისტრიბუტორს საქართველოში. 2017 წლის დასაწყისიდან კი გახდა ჰოლანდიური წყალზე გართობის აქსესუარების ბრენდის JOBE-ს, იტალიური ელექტრომობილების ItalCar-ისა და კატერების მწარმოებელი ამერიკული კომპანია Quicksilver-ის დისტრიბუტორი საქართველოში.

2018 წლიდან კომპანია ტრანსპორტერი გახდა მოტოციკლების და რეკრეაციული ტექნიკის იაპონური ბრენდი Kawasaki-ს ოფიციალური დისტრიბუტორი და სერვის პარტნიორი. ამავე წელს შპს ტრანსპორტერის პორტფელს დაემატა ევროპაში მოპედების გაყიდვებით პირველ სამეულში შემავალი კომპანია Kymco.

2019 წელს შპს ტრანსპორტერი გახდა ამერიკული კორპორაცია Textron Specialized Vehicles INC. და ამფიბიური ყველგანმავლების მწარმოებელი კანადური კომპანია Argo-ს ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში.

დღესდღეისობით კომპანია ტრანსპორტერი 80-ზე მეტი საერთაშორისო ბრენდის ოფიციალური დისტრიბუტორია რეგიონის მაშტაბით, მათ შორის Argo, CF Moto Husqvarna, Gardena, Volvo Penta, Carlstar Group, Grand Boats, Quicksilver Boats, Invictus Yacht და სხვა.

ქვეყნის მასშტაბით კომპანია წარმოდგენილია თბილისში, ბათუმსა და ბაკურიანში, სადაც მომხმარებელს სთავაზობს კვადროციკლებს, ბაგის ტიპის ავტომობილებს, თოვლმავლებს, ჰიდროციკლების, კატერებს, გასაბერ ნავებს, მცურავი საშუალებების ძრავებს, მოტოციკლებს, მოპედებს, წყლის სპორტთან დაკავშირებულ აქსესუარებს, ელექტომობილებს, აღნიშნული ტექნიკის ეკიპირებას, აქსესუარებს და სათადარიგო ნაწილებს.

კომპანიას აქვს როგორც საგარანტიო, ისე გარანტიის შემდგომი მომსახურება, როგორც საკუთარი ბრენდის, ასევე სხვა ბრენდების მიერ წარმოებული რეკრეაციული ტექნიკისთვის. ხოლო გამოცდილი, სერთიფიცირებული ტექნიკოსების გუნდი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ემსახურება მომხმარებელს. ამასთან, კომპანიაში დანერგილია მობილური სერვისი, რომლის ფარგლებშიც მომხმარებელს საშუალება აქვს დარეკოს და გამოიძახოს მობილური სერვის ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს ტექნიკის ადგილზე მომსახურებას.

კომპანიის მიერ შესრულებული პროექტები:

1. შსს BRP SKI-DOO-ს თოვლმავლებით უზრუნველყოფს პატრულირებას (2016 წელი)
საქართველოს სამთო კურორტებზე: გუდაურში, ბაკურიანში, მესტიაში და მთიან აჭარაში გამოჩნდა ახალი, BRP SKI-DOO RENEGADE X 1200 თოვლმავლები, რომელთაც შინაგან საქმეთა სამინისტრო სათხილამურო კურორტების პატრულირებისთვის იყენებს.
სკი-პატრულის პროექტი პირველ ეტაპზე 2016 წელს გუდაურში განხორციელდა, რის შემდეგაც ყველა სამთო-სათხილამურო კურორტზე დაინერგა. აღნიშნული პროექტის ფარგლებში სკი-პატრული ზამთრის კურორტებზე თხილამურებისა და თოვლმავლების მეშვეობით მაქსიმალურად დაიცავს დამსვენებელთა უსაფრთხოებას.
SKI-DOO-ს თოვლმავლების გადაცემა შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის უზრუნველყო კომპანია ტრანსპორტერმა - BRP-ის ოფიციალურმა დისტრიბუტორმა საქართველოში.
შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით 2018 წლის იანვრიდან დღემდე სკი-პატრულმა დახმარება აღმოუჩინა 143 ადამიანს, მათ შორის, იპოვა 11 დაკარგული პირი.
„უსაფრთხოება უმნიშვნელოვანესი საკითხია სამთო კურორტებზე. მოხარული ვართ, რომ არჩევანი სწორედ ისეთი ბრენდის სასარგებლოდ გაკეთდა, როგორიცაა კანადური კომპანია BRP-ი, რომელიც აქცენტს ხარისხსა და საიმედოობაზე აკეთებს. პატრული BRP SKI-DOO-ს თოვლმავლებით მთელი ქვეყნის მასშტაბით უზრუნველყოფს სამთო კურორტების დამსვენებლების უსაფრთხოებას“. - განაცხადა კომპანია ტრანსპორტერის დამფუძნებელმა და გენერალურმა დირექტორმა, სერგი შუღაროვმა.

2. ლოპოტა (2017)

ტრანსპორტერმა 2017 წელს „ლოპოტა სპა რეზორტს“ მიაწოდა კვადროციკლები და ბაგის ტიპის ავტომობილები, კონკრეტულად კი BRP-ის ბრენდის უმაღლესი ხარისხის ტექნიკა: Outlander Max 450 და Commander DPS 800.

„ლოპოტა სპა რეზორტი“, მდებარეობს კახეთში, ტბის გარშემო. იგი 60 ჰექტარზეა განლაგებული და სტუმრებს ოთხი სეზონის მანძილზე განსხვავებულ და მრავალფეროვან პირობებს სთავაზობს. იგი მომხმარებელს უქმნის უნიკალურ გარემოს, სადაც შესაძლებლობა ექნებათ უკეთესად გაიცნონ და შეიგრძნონ ქართული კულტურა.

ტრანსპორტერი მოხარულია, რომ საკუთარი წვლილი შეიტანა ლოპოტას კიდევ უფრო სასურველ და თავბრუდამხვევ ადგილად ქცევაში.

3. საპოლიციო დანიშნულების BRP Can-Am Spyder police გადაცემა შინაგან საქმეთა სამინისტროს ბათუმში (2018 წელი)

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ავტო პარკს ახალი BRP Can-Am Spyder police ტრიციკლი შეემატა. მისი საშუალებით ქვეითი პატრულის ახალი ქვედანაყოფი გადაადგილდება თბილისის ქუჩებში, რომელიც დაიცავს ჩვენ და ჩვენს ქვეყანაში ჩამოსული ტურისტების უსაფრთხოებას.

კომპანია ტრანსპორტერმა თავისი წვლილი შეიტანა ქვეყნის უსაფრთხოების განვითარებაში და შინაგან საქმეთა სამინისტროს საჩუქრად BRP Can-Am Spyder police ტრიციკლი გადასცა. BRP Can-Am Spyder police მრავალ ქვეყანაში გამოიყენება საპოლიციო დანიშნულებით მათ შორის, ამერიკის შეერთებულ შტატებში და კანადაში. კომპანია ტრანსპორტერი მუდმივად ცდილობს ქვეყნის განვითარებაში მიიღოს მონაწილეობა და წარმატებით თანამშრომლობს სახელმწიფო სტრუქტურებთან.

BRP-(Bombardier Recreational Products)რეკრეაციული, უტილიტარული და სპეციალიზირებულისატრანსპორტოსაშუალებებისმწარმოებელიკანადურიკომპანიაა. „Can-Am Spyder“, BRP-ში შემავალი ერთ-ერთი ქვებრენდია.Can-Am Spyder თავისი ბრენდის ქვეშ ტრიციკლების ხაზს აერთიანებს.დღესდღეობით BRP-ისპროდუქცია 80-ზემეტქვეყანაშიიყიდება და ის ამ ინდუსტრიის ლიდერი კომპანიაა.

4. საქართველოს შსს მომსახურების სააგენტოს მიერ „KAWASAKI”-ის ბრენდის მოდელების შესყიდვა (2018, 2021)

საქართველოს შსს მომსახურების სააგენტომ, ახალი ტექნიკის შესყიდვის პროგრამის ფარგლებში, საგამოცდო პროცესის უზრუნველსაყოფად შეისყიდა „KAWASAKI”-ის ბრენდის მოდელები:

1. 2018 წელს - 2 ერთეული Kawasaki Z650 – A კატეგორიისთვის, ხოლო 4 ერთეული Kawasaki Z650 A2 კატეგორიისთვის.
2. 2021 წელს კი 9 ერთეული Kawasaki Z650 და 7 ერთეული Kawasaki Z125.

კომპანია ტრანსპორტერი გახდა ტენდერში გამარჯვებული. საგამოცდო ცენტრი უკვე უზრუნველყოფილია Kawasaki ბრენდის, EURO 5 ემისიის სტანდარტების შესაბამისი მოტოციკლებით A და A1 კატეგორიის მართვის მოწმობის გამოცდაზე გამსვლელებისთის.

კომპანია ტრანსპორტერი “Kawasaki”-ს ბრენდის ოფიცილურ წარმომადგენელია და მუდამ მზადაა შესაბამისი უწყებები უზრუნველყოს უმაღლესი ხარისხის ტექნიკით.

5. მტირალას პარკში ტრანსპორტერის კვადროციკლები
კომპანია ტრანსპორტერი აქტიურად აწვდის მტირალას პარკში მყოფ გამქირავებლებს უმაღლესი ხარისხის კვადროციკლებს, რაც მათ ეხმარებათ ტურისტების მოზიდვაში და განსაკუთრებული გარემოს შექმნაში, მათთვის ვისაც სურს თავგადასავლებით სავსე დრო გაატაროს და შეიქმნას თავბრუდამხვევი მოგონებები.
მტირალას პარკი ვიზიტორებს მრავალფეროვან ეკოტურისტულ სერვისებს სთავაზობს. პარკში მოწყობილია ზიპ-ლაინი და სხვა გასართობი საშუალებები, რაც დიდი მოწონებას იმსახურებს ექსტრემისა და თავგადასავლების მოყვარული სტუმრებში. პარკი შესაძლებლობას აძლევს ტურისტებსა და ადგილობრივ დამსვენებლებს განსხვავებულად გაატარონ დრო საყვარელ ადამიანებთან ერთად და აღმოაჩინონ აღნიშნული რეგიონის კულტურა და ლანდშაფტი.

6. ბოტანიკური ბაღის ტენდერი (2018,2019)
კომპანია ტრანსპორტერმა, გაიმარჯვა ბოტანიკური ბაღის ტენდერში 2018 და 2019 წლებში და მიაწოდა მას უმაღლესი ხარისხის ტექნიკა. 2018 წლის ტენდერით კომპანიამ უზრუნველყო ორი 11 ადგილიანი ელექტრო ავტობუსისა და ერთი 6 ადგილიანი გოლფის მანქანის გადაცემა, ხოლო 2019 წელს გადასცა ერთი 6 ადგილიანი და ორი რვა ადგილიანი გოლფის მანქანა.
ბოტანიკური ბაღი შესანიშნავი ადგილია როგორც დასვენებისთვის, ისე ექსტრემით დაინტერესებული ადამიანებისთვის. ბაღი აერთიანებს მრავალფეროვან მცენარეებსა და ხეებს, ასევე, სხვადასხვა გასართობ საშუალებებს.
კომპანია ტრანსპორტერი მოხარულია, რომ შეძლო ტენდერებში გამარჯვების მოპოვება და საკუთარი წვლილის შეტანა ტურისტული ადგილის კიდევ უფრო საინტერესო ადგილად გადაქცევაში.

7. სატყეო სააგენტოს ტენდერი (2019)
კომპანია ტრანსპორტერმა, ტენდერის მოგების შედეგად, სატყეო სააგენტოს გადასცა ერთი კვადროციკლი (CFMOTO 520) და ერთი ბაგი (CFMOTO Uforce 1000), 2019 წელს. საჭიროებიდან გამომდინარე ტრანსპორტერი მუდმივად უზრუნველყოფს მსგავსი, უმაღლესი ხარისხის ტექნიკით საქართველოს სატყეო სააგენტოს.
სააგენტოს მიზანია ტყის მოვლა და აღდგენა, ბიოლოგიური მრავალფეროვნების კომპონენტების მდგრადი გამოყენება, ტყითსარგებლობის რეგულირება და სხვა.
კომპანია ტრანსპორტერი მოხარულია, რომ საკუთარი წვლილი შეაქვს სააგენტოს საქმიანობაში და დახმარებას უწევს მას საჭიროებებიდან გამომდინარე.

8. პენინტენციალური (2019)
2019 წელს კომპანია ტრანსპორტერმა პენიტენციალურ სამსახურს გადასცა უმაღლესი ხარისხის კვადროციკლები, კონკრეტულად კი CFORCE 600.
სამსახურის საქმიანობის ძირითადი პრინციპებია: კანონის უზენაესობა; ადამიანის უფლებათა დაცვა და პატივისცემა, გამჭვირვალობა და სხვა.
კომპანია ტრანსპორტერი მოხარულია, რომ შესაძლებლობა მიეცა საკუთარი წვლილი შეეტენა სამსახურის მუშაობაში და მისი საქმიანობის განხორციელებაში.

9. აქლასა (2019)
კომპანია „ტრანსპორტერმა“ ACLASSA უზრუნველყო BRP-ის ტექნიკით, კონკრეტულად კი Can Am Maverick X3'S-ით, რისი მეშვეობითაც მათ შესაძლებლობა ექნება მომხმარებელს შესთავაზონ კიდევ უფრო მეტი თავგადასავლებითა და ადრენალინით აღსავსე დასვენება.
ACLASSA წარმოადგენს უნიკალური პროექტს, რომელიც საქართველოში ტურიზმის განვითარებას უწყობს ხელს. იგი კომპანიაა, რომელმაც შეძლო გაეერთიანებინა უამრავი კომპონენტი იმისთვის, რომ მომხმარებელმა მიიღოს დაუვიწყარი შთაბეჭდილებები, იხილოს საუკეთესო ადგილები საქართველოში, მიიღოს ექსტრემალური გამოცდილება და რაც მთავარია დაუვიწყარი ემოციები.
კომპანია ტრანსპორტერი მოხარულია, რომ შესაძლებლობა მიეცა თავისი წვლილი შეეტანა მომსახურების სფეროს სრულიად ინოვაციური დარგის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. ეს ყოველივე დაეხმარება ქვეყნის ეკონომიკის ზრდას და მეტი ტურისტის მოზიდვას საქართველოში.

10. ამბასადორი გოლფის მანქანები (2019, 2021)
ამბასადორი კაჭრეთი, რომელიც აერთიანებს სპორტ-კომპლექსს, სასტუმროსა და რესტორანს, კომპანია ტრანსპორტერის, პარტნიორი კომპანია გახდა. ტერიტორიაზე განთავსებულია კომპანია ტრანსპორტერის მიერ მიწოდებული გოლფის მანქანები, რომლებიც საშუალებას აძლევენ მომხმარებელს დაკავდნენ სრულიად განსხვავებული აქტივობით დასვენებისას. აღნიშნული ტექნიკა, ამბასადორ კაჭრეთს გადაეცა 2019 და 2021 წლებში.
დღესდღეობით მომხმარებლებს საშუალება აქვთ სასიამოვნოდ გაატარონ დრო გოლფის მოედანზე, სადაც ეწყობა გოლფის ტურნირები, რომელშიც მონაწილეობას იღებენ, როგორც ქართველი ასევე უცხოელი გოლფერები.
აღნიშნული პროექტით, კომპანია ტრანსპორტერი, მოხარულია, რომ საკუთარი წვლილი შეიტანა საქართველოში ტურიზმის განვითარებაში და მომხმარებლისთვის განსხვავებული აქტივობების შეთავაზებაში, რაც ასეთი მნიშვნელოვანია, როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი მომხმარებლებისთვის.

11. არგო (2020)
"ტრანსპორტერმა" 2020 წელს, ამერიკის მთავრობის მხარდაჭერით, საქართველოს სასაზღვრო პოლიციას 20 ერთეული კანადური ბრენდ ARGO-ს ყველგანმავალი ტექნიკა გადასცა.
აღნიშნული ტექნიკის გადაცემის შედეგად ჩატარდა სპეციალური სასწავლო ტრენინგები შსს-ს სასაზღვრო პოლიციის სპეც.დანაყოფების თანამშრომლებისთვის ARGO-ს ტექნიკური მახასიათებლების სწავლების მიზნით. ტრეინინგები დაეხმარება დანაყოფებს, რომ აიმაღლონ კვალიფიკაცია, რათა მომავალში გარანტორები იყვნენ ჩვენი და ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოების.
კომპანია ტრანსპორტერი მოხარულია, რომ გარკვეული წვლილი შეიტანა ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოების დაცვაშ და კადრების კვალიფიკაციის ამაღლებაში. იგი მუდამ მზადაა გაუწიოს შესაბამისი დახმარება უწყებებს.

12. IBRD-ის ტენდერი (2020)
კომპანია ტრანსპორტერმა ტენდერში მოგების შედეგად 2020 წელს, ბაკურიანის მუნიციპალური განვითარების ფონდს გადასცა უმაღლესი ხარისხის ტექნიკა, კონკრეტულად კი ბაგის ტიპის ავტომობილები და თოვლის გადამყრელი “Schrack-ი“.

ფონდს ბაკურიანში მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელება აქვს დაგეგმილი, როგორიცაა ბაკურიანის ურბანული განახლება, სატრანსპორტო გეგმის შემუშავება, ბაკურიანის ცენტრალური ბილიკისა და გზის მოწყობა.
ტრანსპორტერი მოხარულია, რომ საკუთარი წვლილი შეიტანა ბაკურიანის მუნიციპალური განვითარების ფონდის საქმიანობაში და ბაკურიანის, როგორც ტურისტებისთვის სასურველი ადგილის შექმნაში.

13. დაცული ტერიტორია- ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამა (2021)
კომპანია ტრანსპორტერმა, 2021 წელს უზრუნველყო ტექნიკის მიწოდება ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამისტვის(UNDP). აღნიშნული პროგრამის ხელშეწყობით, 34,000 ჰექტარი ტყე ალგეთის, ლაგოდეხისა და ჯავახეთის ეროვნულ პარკებში უკეთ დაცული იქნება.
ეს შესაძლებელი გახდა ENPARD პროგრამის ფარგლებში დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან მუშაობით, რაც მიზნად ისახავს ტყის მართვის გეგმების შემუშავებას, რეინჯერების მომზადებას და აღჭურვას, ეკოტურიზმის სერვისების განვითარებას და ტურისტებისთვის მობილური აპლიკაციის შექმნას.
ტრანსპორტერმა, როგორც BRP-ის ოფიციალურმა წარმომადგენელმა, პროგრამას მიაწოდა, უმაღლესი ხარისხის კვადროციკლები, იმისთვის, რომ ხელი შეეწყო ეროვნული პარკების უკეთ დაცვას. იგი მოხარულია, რომ თავისი წვლილი შეიტანა ჩვენი ქვეყნის დაცული ადგილების გაუმჯობესებაში.

14. უდაბნო (2022)
კომპანია ტრანსპორტერმა, 2022 წელს, შპს „უდაბნოს“ გადასცა 8 ბაგის ტიპის ტექნიკა თავისი მისაბმელებით.
პირველი სრულად ორგანული ეკოსისტემაა, რომელიც სოფლის მეურნეობას, აგრო ტურიზმს, პროფესიული განათლების შესაძლებლობებსა და „ფერმიდან მაგიდაზე“ კონცეფციას აერთიანებს.
კომპანია ტრანსპორტერი მოხარულია, რომ საკუთარი წვლილი შეიტანა შპს „უდაბნოს“ საქმიანობაში, ორგანული ეკოსისტემის განვითარებაში, რაც ხელს შეუწყობს უფრო მეტი მწვანე არეალების შექმნას.

დირექტორი

სერგო შუღაროვი

27 ოქტომბერი, 2023 წელი

ინფორმაცია ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის კვალიფიკაციის შესახებ

ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი: სერგო შუღაროვი (პ/ნ 01031003635)

კვალიფიკაცია: იურიდიული ფაკულტეტის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, სპეციალობა „ სამართალმცოდნეობა“

ამჟამად დაკავებული პოზიცია: გენერალური დირექტორი

დანართის სახით იხილეთ ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი:

ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრის დიპლომი.

პატივისცემით,

გენერალური დირექტორი

სერგო შუღაროვი

27 ოქტომბერი, 2023 წელი

Transporter LLC

Digitally signed by Transporter LLC
Date: 2023.10.27 12:13:03 +04'00'

საქართველო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
იოანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი განათლების დიპლომი

U № 000882

დუბლიკატი

იურიდიული ფაკულტეტის
2003 წლის 19 მაისის №1/პ გადწყვეტილებით
სერგო შუღაროვს
მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია სამართალმცოდნეობის სპეციალობით
პროგრამის ხანგრძლივობა: 5 წელი

Georgia
Legal Entity of Public Law
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Higher Education Diploma

U № 000882

DUPLICATE

By decision №1/P of the Faculty of Law
on May 19, 2003
Mr. **SERGO SHUGAROVI**
was awarded the qualification of Lawyer
with a major in Jurisprudence
Programme duration: 5 Years

ბ. ა.
Seal

დეკანი
Dean
/თამარ ზარანდია/
/Tamar Zarandia/

თბილისი
Tbilisi

28.11.2022
/დღე, თვე, წელი/
/Day, Month, Year/

რექტორი
Rector
/ჯაბა სამუშია/
/Jaba Samushia/

სარეგისტრაციო
Registration
№02/2002